

ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო

არჩილ კიკალიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების
კვლევებში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბეჟან ჯავახია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016

განაცხადი:

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

არჩილ კიკალიშვილი

ივნისი 2016

აბსტრაქტი

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე XV საუკუნეს გარდამტეხი მნიშვნელობა ენიჭება. XII-XIII საუკუნეების მცირე აზიის ერთ-ერთი მოწინავე საქართველოს სამეფო, XV საუკუნის ბოლოს დაიშალა სამეფო-სამთავროებად. ყოველივე ეს განპირობებული იყო, როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკური ვითარებით, ისე საგარეო ფაქტორებით.

XV საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში მომხდარმა მოვლენებმა დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს სამეფოზე. 1453 წლის 29 მაისს ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს. ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. კონსტანტინეპოლის დაცემით საქართველო მაჰმადიანური ქვეყნების გარემოცვაში მოექცა. ოსმალეთის საშიშროების ზრდასთან ერთად საქართველოსთვის ცხადია მის წინააღმდეგ ბრძოლა უმთავრეს ამოცანად იქცა.

XV საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება დიდი ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა, რომის პაპის პიუს II-ის თაოსნობით. კოალიციაში მონაწილეობის მიღებას აპირებდნენ ქართული სამეფო-სამთავროებიც. ამ მიზნით საქართველოში ჩამოვიდა რომის პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი. ქართველმა პოლიტიკოსებმა პაპის ლეგატს თან გააყოლეს ელჩები ევროპაში, რათა გასცნობოდნენ პოლიტიკურ ვითარებას და მზადყოფნა გამოეთქვათ ოსმალებთან ბრძოლისათვის. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა საბოლოოდ მარცხით დამთავრდა.

უნდა აღინიშნოს რომ ევროპელი მკვლევარების საკმაოდ დიდი ნაწილი, რომის პაპის პიუს II-ის „მემუარებზე“ დაყრდნობით, ლუდოვიკო ბოლონიელს თაღლითად და ავანტიურისტად მიიჩნევს, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩობას ფალსიფიცირებულად.

ამ საკითხზე სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებაა დამკვიდრებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ ორივე ეს თვალსაზრისი და წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად, წარმოვაჩინოთ ქართველი მეფე-მთავრების როლი ანტიოსმალური კოალიციის შექმნის საქმეში და ქართულ სახელმწიფოთა ადგილი იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებაში.

ძირითადი საკვანძო სიტყვები : საქართველო, ანტიოსმალური კოალიცია, რომის პაპი, ლუდოვიკო ბოლონიელი, ელჩები, სამეფო-სამთავროები, ოსმალეთი.

Abstract

The text of the abstract in English

Throughout centuries-old history of Georgian nation the critical importance is attributed to the XV century. At the end of the XV century one of the leading kingdoms of Georgia of the XII-XIII centuries Asia Minor collapsed and turned to the kingdom and principalities. All of the aforesaid was stipulated both by country's internal political condition and external factors.

In the second half of the XV century the events taken place in the world had significantly influenced on the kingdom of Georgia. In May 29, 1453 Osmal people captured Constantinople. Byzantine Empire does not any more exist. Fall of Constantinople stipulated Georgia to be surrounded by Muhammadan countries. Together with the increase of danger of Osmal nation it is obvious that fight against them became the principal task for Georgia.

Since the 50s of the XV century began attempt of establishment the great antiosmal coalition lead by Pope Pius II. Georgian kingdom and principalities also were going to participate in the coalition. For this purpose the ambassador of Pope Louis from Bologna arrived in Georgia. Georgian politicians sent ambassadors to Europe with the legate of pope, in order to be aware about political condition and express their readiness for the fight with Osmal nation. Attempt on establishment of antiosmal coalition finally failed.

Herein is to be noted that under the basis of memoirs written by Pope Pius II majority of European researchers consider Louis from Bologna as a swindler and adventurer, but the ambassadorship of eastern countries as a falsified.

Completely different opinion is found with regard to this issue in Georgian historiography.

Objective of this paper is to consider both aforesaid opinions and as a result of analyzing sources and scientific literature show the role of Georgian kings and principals in the

undertaking of coalition establishment and the place of Georgian states at that times international condition.

Key words: Georgia, antiosmal coalition, Pope, Louis from Bologna, ambassadors, kingdom and principalities, Osmal Empire.